დამტკიცებულია სკოლის პარტნიორთა კრების
2023 წლის 5 სექტემბრის №5/23 ოქმით

შპს ,, იუჯი სკოლის“ სასწავლო დებულება

1.სკოლის მისია

2.სკოლის საქმიანობის საგანი

3. სასწავლო პროცესი

4.სკოლაში მოსწავლეთა ჩაირცხვის,კლასიდან კლასში გადაყვანის პირობები

5.მშობლის (კანონიერი წარმომადგენლის) და სკოლის ადმინისტრაციის უფლება-მოვალეობანი

6. მშობლის ინფორმირების წესი

7. სწავლის საფასურის გადახდის წესი

8.მოსწავლის ინიციატივით სწავლის შეწყვეტა

9.მოსწავლის ქცევის წესები

10.მოსწავლის ვალდებულებები

11. მოსწავლის წახალისების ზომები

12. მოსწავლის პასუხისმგებლობა

13. სასწავლო დებულებაში ცვლილებების შეტანის წესი

1.სკოლის მისია

განათლებული, ჰუმანური და პატრიოტული გრძნობით აღჭურვილი, ანალიტიკურად და შემოქმედებითად მოაზროვნე ღისეული მოქალაქის აღზრდა, რომელსაც თავისუფლად შეეძლება სკოლაში მიღებული ცოდნის და უნარ-ჩვევების მეშვეობით საკუთარი შესაძლებლობების რეალიზება შემდგომი პიროვნული განვითარებისათვის იქნება ესერთიანი ეროვნული გამოცდებისა თუ საუნივერსიტეტო სწავლების დაძლევა ასევე სხვა სასწავლო საგანმანათლებლო პროგრამებში წარმატებით მონაწილეობა.

2.სკოლის საქმიანობის საგანი

შპს იუჯი სკოლა ახორციელებს ზოგადსაგანმანათლებლო საქმიანობას საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ შემუშავებული სასწავლო სტანდარტებისა და ბრიტანული სასკოლო საგანმანათლებლო სტანდარტების (კემბრიჯის პროგრამა) შესაბამისად.

3. სასწავლო პროცესი

- სკოლა სასწავლო პროცესს ახორციელებს ქართულ და ბრიტანულ პროგრამას. ქართული პროგრამა ხორციელდება ზოგადი განათლების სამივე საფეხურზე (დაწყებითი,საბაზო, საშუალო საფეხური), ბრიტანული პროგრამა ხორციელდება შემდეგ საფეხურებზე (Key stage 1,2,3,4, GCSE, Sixth form (A-Level).
- ზოგადი განათლების შინაარსი განისაზღვრება სკოლის მიერ სახელმწიფო საგანმანათლებლო სტანდარტების გათვალისწინებით, დამოუკიდებლად შემუშავებული,მიღებული და განხორციელებული პროგრამებით;
- .სასწავლო პროცესის უზრუნველსაყოფად სკოლა შეიმუშავებს და ამტკიცებს სასკოლო სასწავლო გეგმას, ერთიანი ეროვნული სასწავლო გეგმისა და ბრიტანული საგანმანათლებლო სასკოლო სტანდარტების საფუძველზე;
- .სწავლება მიმდინარეობს ქართულ და ინგლისურ ენაზე;

4.სკოლაში მოსწავლეთა ჩაირცხვის,კლასიდან კლასში გადაყვანის პირობები

1. მოსწავლეების სკოლაში მიღების პროცედურას წარმართავს სწავლების მენეჯერი;
2. მსურველები მიღებისას გადიან შემდეგ 4 ეტაპს: საბუთების შეტანა,განცხადების შევსება,სკოლასთან ხელშეკრულების/კონტრაქტის გაფორმება,სასწავლო წლისთვის რეგისტრაციის გავლა.
3. პირველ კლასში ბავშვის ჩასარიცხად მშობელმა/კანონიერმა წარმომადგენელმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი საბუთები:

- განცხადება სკოლის დირექტორის სახელზე;
- მოსწავლის 2 ფოტოსურათი(3X4);
- მოსწავლის ფოტოსურათი დისკზე;
- მოსწავლის დაბადების მოწმობის ასლი;
- მშობლების პირადობის მოწმობის ასლი;
- მოსწავლის ჯანმრთელობის ცნობა.

4. II-XII კლასებში მოსწავლის ჩასარიცხად ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტაციის გარდა დამატებით წარმოსადგენია მოსწავლის პირადი საქმე/მოსწავლის მიერ წინამდებარე კლასის დასრულების დამადასტურებელი დოკუმენტი.
5. მოსწავლის სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებიდან მობილობის შემთხვევაში მე-3 და მე-4 პუნქტებით გათვალისწინებული დოკუმენტაციის გარდა წარმოსადგენია შემდეგი დოკუმენტაცია:

- მიმდინარე შეფასება;
- ცნობა საგნების მიხედვით გაცდენილი საათების შესახებ;

6. სკოლაში ჩარიცხულ ყველა მოსწავლეზე იხსნება პირადი საქმე,რომელშიც დაცული უნდა იყოს: განცხადება სკოლის დირექტორის სახელზე,დაბადების მოწმობის ასლი ანპირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი,ფოტოსურათი ზომით 3X4,მოსწავლის აკადემიური მოსწრებისა და პედაგოგიური დაკვირვების შედეგები,სკოლასა და მშობელს შორის დადებული ხელშეკრულება.

5.მშობლის (კანონიერი წარმომადგენლის) და სკოლის ადმინისტრაციის უფლება-მოვალეობანი

1.სკოლაში მოსწავლის ჩარიცხვისას მოსწავლის მშობელთან(კანონიერ წარმომადგენელთან) ფორმდება ხელშეკრულება,რომელშიც ასახულია სკოლის ადმინისტრაციის და მშობლის ურთიერთვალდებულებები, პასუხისმგებლობები და დავის წარმოშობის შემთხვევაში-გასაჩივრების მექანიზმი.
2. ხელშეკრულების შეწყვეტა შესაძლებელია, თუ ორივე მხარე თანახმაა შეწყვიტოს ხელშეკრულება ან/და კანონით გათვალისწინებული სხვა შემთხვევებში.
3.მშობლის (კანონიერი წარმომადგენლის) უფლებები
5.3.1დაიცვას ბავშვის კანონიერი უფლებები და ინტერესები;
5.3.2 წერილობითი განცხადებით მიმართოს სკოლის ადმინისტრაციას, ბავშვის უფლებების დარღვევის შემთხვევაში და მოითხოვოს შესაბამისი რეაგირება;
5.3.3.გაეცნოს საგანმანათლებლო პროცესის მიმდინარეობასა და შინაარსს,მოსწავლის აკადემიურ მოსწრებას;
5.3.4.გაეცნოს სასწავლო დებულებას და მასთან დაკავშირებულ სხვა დოკუმენტებს.
5.4მშობელი(კანონიერი წარმომადგენელი) ვალდებულია:
5.4.1.პირველი მოთხოვნისთანავე გამოცხადდეს სკოლაში;
5.4.2 აანაზღაუროს მისი შვილის მიერ სკოლისთვის მიყენებული ზარალი;
5.4.3.შეასრულოს სკოლის დირექტორთან დადებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები;
5.4.4. მიაწოდოს ინფორმაცია მოსწავლის მიერ სკოლის გაცდენის მიზეზის შესახებ;
5.4.5შეასრულოს სასწავლო დებულებით გთვალისწინებული მოთხოვნები.
5.5.სკოლის ადმინისტრაციის ვალდებულებები:
5.5.1.შეუქმნას სასწავლო პირობები სკოლაში ჩარიცხულ ყველა მოსწავლეს;
5.5.2. არ დაუშვას რაიმე სახის დისკრიმინაცია მოსწავლეთა შორის;
5.5.3 მოსწავლის სკოლაში გამოუცხადებლობის შემთხვევაში აცნობოს მშობელს;
5.5.4მიაწოდოს ინფორმაცია მშობელს მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ;
5.5.5. მოსწავლის უფლებების დარღვევის ფაქტის აღმოჩენისას განიხილოს საკითხი უმოკლეს ვადაში და აღადგინოს მოსწავლის დარღვეული უფლება.

6. მშობლის ინფორმირების წესი

1.კლასის დამრიგებელი და სწავლების მენეჯერები რეგულარულად აწოდებენ მშობელს ინფორმაციას მოსწავლის აკადემიური მიღწევის, დისციპლინის,პრობლემებისა და წარმატების შესახებ.
2. მშობელს ელექტრონული ჟურნალის მეშვეობით ინდივიდუალურად ეგზავნება მისი შვილის აკადემიური მოსწრების შესახებ ინფორმაცია.
3.დამრიგებელი ან სწავლების მენეჯერი აწვდის მშობელს ინფორმაციას მოსწავლის მიერ სკოლის გაცდენის შესახებ.
4. სკოლის თითოეული პედაგოგი ვალდებულია ითანამშრომლოს მშობელთან და მიაწოდოს ინფორმაცია შვილის როგორც აკადემიური მოსწრების, ასევე დისციპლინური მდგომარეობის შესახებ.
5. მშობლებისა და ადმინისტრაციის ან პედაგოგების შეხვედრა ხორციელდება წინასწარი შეთანხმების საფუძველზე.
6. სკოლა ვალდებულია წელიწადში ორჯერ მშობელს მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ ინფორმაცია მიაწოდოს ინდივიდუალური კრებების სახით.

7. სწავლის საფასურის გადახდის წესი

1.მოსწავლე შემდეგი სასწავლო წლის საფასურს იხდის შემდეგი წესით:

- პირველი სემესტრის(შემოდგომის სემესტრი) სწავლის საფასურს იხდის წინასწარ, არაუგვიანეს 15 ივნისისა;
- მეორე სემესტრის (გაზაფხულის სემესტრი) სწავლის საფასურს იხდის წინასწარ,არაგვიანეს 10 დეკემბრისა;
- სკოლაში ახალჩარიცხული მოსწავლე შესაბამისი სემესტრის საფასურს იხდის ხელშეკრულების გაფორმებიდან 1 (ერთი) კვირის ვადაში;
- სკოლაში სემესტრის მიმდინარეობისას ჩარიცხული მოსწავლე სემესტრის საფასურს იხდის მთლიანად;
- სწავლის საფასურის დებულებით განსაზღვრულ ვადებში გადაუხდელობის შემთხვევაში სკოლა უფლებამოსილია მოსწავლეს/კანონიერი წარმომადგენელს დააკისროს პირგასამტეხლო ყოველი დაყოვნებული დღისთვის შემდეგი წესით: ვადის ამოწურვიდან ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე მოსწავლეს ერიცხება პირგასამტეხლო 15(თხუთმეტი) ლარის ოდენობით 1 (ერთი) კვირის განმავლობაში.
- იმ მოსწავლეებს რომელთაც სოციალური კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე გადავადებული/გადანაწილებული აქვთ სწავლის საფასური პირგასამტეხლო არ ერიცხებათ.

2.მოსწავლე სწავლის საფასურის გადახდის გადავადებასთან დაკავშირებით განცხადებას წერს შემდეგ ვადებში:

- პირველ სემესტრში-5/05-1/06;
- მეორე სემესტრში-1/11-25/11;
- სკოლაში ახალჩარიცხული მოსწავლე ხელშეკრულების გაფორმებისთანავე;

3. სწავლის საფასურის გადახდის გადავადებასთან/შეღავათთან დაკავშირებით მოსწავლე(კანონიერი წარმომადგენელი)განცხადებას წერს სოციალური კომისიის სახელზე,რომელიც იხილავს აღნიშნულ საკითხს და იღებს გადაწყვეტილებას, რომელიც ფორმდება ოქმის სახით;სოციალური კომისიის შემადგენლობაში შედიან: სკოლის ადმინისტრაციის უფროსი,სწავლების მენეჯერები, სკოლის ფინანსური მენეჯერი,სკოლის ექიმი, სკოლის ადამიანური რესურსების საქმისწარმოების და იურიდიული სამსახურის უფროსი.

7.3.1. სოციალურ კომისიას უნდა წარედგინოს:

- ცნობა სოციალურად დაუცველობის შესახებ (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
- ცნობა იძულებთ გადაადგილებული პირის სტატუსის შესახებ (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
- დამადასტურებელი საბუთი,რომ ერთი ოჯახის ორი ან მეტი წევრი სწავლობს აღნიშნულ სკოლაში;
- მოსწავლეთ დაბადების მოწმობის ქსეროასლი;
- ცნობა იმის შესახებ, რომ მშობელი არის სკოლის თანამშრომელი ან შპს ,,საქართველოს უნივერსიტეტის“ თანამშრომელი ან შპს ,,იუჯი ბაღის“ თანამშრომელი;
- მშობლების სახელფასო ცნობა;
- ცნობა მშობლის გარდაცვალების შესახებ (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
- ცნობა სამსახურის დაკარგვის შესახებ;
- ცნობა მძიმე ავადმყოფობის შესახებ;
- სწავლის საფასურის და (შესაბამისად დარიცხული პირგასამტეხლოს) გადაუხდელობის შემთხვევაში მოსწავლესთან/კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული ხელშეკრულება შეწყდება.

8.მოსწავლის ინიციატივით სწავლის შეწყვეტა

1. მოსწავლის(კანონიერი წარმომადგენლის) მიერ საკუთარი ინიციატივით ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში თუ მოსწავლე შეწყვეტს ხელშეკრულებას სწავლის საფასურის გადახდის თარიღიდან 1 კვირის განმავლობაში, მოსწავლეს კანონიერ წარმომადგენელს დაუბრუნდება შესაბამისი სემესტრის სრულად გადახდილი სწავლის საფასურის 2/3. 7 2. მოსწავლის(კანონიერი წარმომადგენლის) მიერ საკუთარი ინიციატივით ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში თუ მოსწავლე შეწყვეტს ხელშეკრულებას სწავლის საფასურის გადახდის თარიღიდან 2 კვირის განმავლობაში, მოსწავლეს კანონიერ წარმომადგენელს დაუბრუნდება შესაბამისი სემესტრის სრულად გადახდილი სწავლის საფასურის 1/3.
3. მოსწავლის(კანონიერი წარმომადგენლის) მიერ საკუთარი ინიციატივით ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში თუ მოსწავლე შეწყვეტს ხელშეკრულებას სწავლის საფასურის გადახდის თარიღიდან 2 კვირის შემდეგ, გადასახადი არ უბრუნდება.
4. მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს, რომელთანაც სკოლა აუქმებს კონტრაქტს წინამდებარე დებულების მოთხოვნათა დარღვევის გამო, სწავლის საფასური არ დაუბრუნდება.
5. სწავლის საფასურის გადაუხდელობის შემთხვევაში სკოლა უფლებამოსილია შეწყვიტოს მოსწავლის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული ხელშეკრულება

2. მოსწავლის (კანონიერი წარმომადგენლის) მიერ საკუთარი ინიციატივით ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში თუ მოსწავლე შეწყვეტს ხელშეკრულებას სწავლის საფასურის გადახდის თარიღიდან 2 კვირის განმავლობაში, მოსწავლეს კანონიერ წარმომადგენელს დაუბრუნდება შესაბამისი სემესტრის სრულად გადახდილი სწავლის საფასურის 1/3.

3. მოსწავლის(კანონიერი წარმომადგენლის) მიერ საკუთარი ინიციატივით ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში თუ მოსწავლე შეწყვეტს ხელშეკრულებას სწავლის საფასურის გადახდის თარიღიდან 2 კვირის შემდეგ, გადასახადი არ უბრუნდება.
4. მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს, რომელთანაც სკოლა აუქმებს კონტრაქტს წინამდებარე დებულების მოთხოვნათა დარღვევის გამო, სწავლის საფასური არ დაუბრუნდება.
5. სწავლის საფასურის გადაუხდელობის შემთხვევაში სკოლა უფლებამოსილია შეწყვიტოს მოსწავლის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული ხელშეკრულება

9.მოსწავლის ქცევის წესები

- მოსწავლე უფლებამოსილია:
- მიიღოს სახელმწიფო საგანმანათლებლო სტანდარტების ფარგლებში ზოგადი განათლება.
    - მიიღოს ინფორმაცია საკუთარი უფლებების და თავისუფლების შესახებ, აგრეთვე მათი შეზღუდვის საფუძვლების შესახებ.
    - მოიძიოს, მიიღოს და გაავრცელოს ნებისმიერი ინფორმაცია და იდეები საქართველოს კანონმდებლობით და ამ სასწავლო დებულებით დადგენილი შეზღუდვების გათვალისიწნებით.
    - გამოთქვას საკუთარი აზრი და მოითხოვოს მისი პატივისცემა.
- წინასწარი შეტყობინების საფუძველზე, სკოლის ტერიტორიაზე, კანონით დადგენილი წესით გამოიყენოს შეკრების უფლება.
    - დაიცვას პირადი ინფორმაცია, მოსწავლეს არ შეიძლება მოეთხოვოს გაამჟღავნოს ინფორმაცია პირად ცხოვრებაზე.
    - კანონით დადგენილი წესით, ისარგებლოს რწმენის, აღმსარებლობისა და სინდისის თავისუფლებით, ნებისმიერი ან არც ერთი რწმენისა თუ მსოფლმხედვლობის ნებაყოფლობით არჩევის და შეცვლის უფლებით.
    - ისწავლოს უსაფრთხო გარემოში.

10.მოსწავლის ვალდებულებები

1.მოსწავლე ვალდებულია :

10.1.1 სისტემატიურად დაესწროს გაკვეთილებს და სკოლის მიერ დაგეგმილ მიზნობრივ ღონისძიებებს;

10.1.2 მოვიდეს სკოლაში გაკვეთილის დაწყებამდე 5 წუთით ადრე;

10.1.3 სკოლაში მისი გარეგნული იერი შეესაბამებოდეს საქმიან ატმოსფეროს, სკოლაში გამოცხადდეს სკოლის ფორმით, იქონიოს საგაკვეთილო ცხრილის შესაბამისად საჭირო სასწავლო ნივთები;

10.1.4 გააკონტროლოს საკუთარი მეტყველება, ქცევა და მანერები, არა მხოლოდ სკოლის ტერიტორიაზე, არამედ სკოლის მიერ ორგანიზებულ ნებისმიერი ღონისძიების მიმდინარეობისას სკოლის ტერიტორიის გარეთ;

10.1.5 გაუფრთხილდეს, არ დაკარგოს და დააბრუნოს ყველა ის ნივთი, რომელსაც სკოლა მას დროებით სარგებლობისთვის გადასცემს. ნივთის დაკარგვის ან დაზიანების შემთხვევაში, იგი ვალდებულია აანაზღაუროს მიყენებული ზარალი;
10.1.6 სასწავლო წლის დასასრულს სკოლას დაუბრუნოს ბიბლიოთკიდან გატანილი ყველა წიგნი;
10.1.7 იყოს თავაზიანი და ყურადღებიანი სხვათა მიმართ. მისი სიტყვიერი მიმართვა, რომელიც შეურაცხყოფს სხვათა ღირსებას, არღვევს პიროვნების ემოციურ და ფიზიკურ მდგრადობას ითვლება დისციპლინურ გადაცდომად და ითვალისწინებს სასჯელს;

10.1.8 გაუფრთხილდეს სკოლის შენობას, მასში არსებულ მოწყობილობებს და აღჭურვილობას და დაზიანების შემთხვევაში აღადგინოს იგი თავად ან სხვისი დახმარებით;
10.1.9 სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენის, სკოლაში იარაღის, ალკოჰოლური ან ნარკოტიკული საშუალებების შემოტანის შემთხვევაში მოსწავლე პასუხს აგებს სამართალდამცავი ორგანოების წინაშე საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.
10.1.10 დაესწროს საგაკვეთილო ცხრილის მიხედვით დაგეგმილ ყველა გაკვეთილს.
10.1.11 სკოლაში მოსვლისთანავე საგაკვეთილო პროცესის დაწყებამდე ჩააბაროს ტელეფონი და სხვა ტექნიკური საშუალება კლასის დამრიგებელს ან სწავლების მენეჯერს;
10.1.12 სკოლაში დაგვიანებით მოსვლის და გაკვეთილზე დაგვიანების შემთხვევაში დარჩეს სკოლაში გაკვეთილების შემდეგ 17:30წთ-მდე და მოამზადოს დავალებები, რის შესახებაც ეცნობება მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს.
10.1.13 სკოლის ტერიტორიის განზრახ დანაგვიანების შემთხვევაში,დაალაგოს მის მიერ დანაგვიანებული ტერიტორია შესვენების დროს ან გაკვეთლების დასრულების შემდეგ.

2.მოსწავლეს ეკრძალება:
10.2.1 დოკუმენტურად გაფორმებული საპატიო მიზეზის გარეშე გაკვეთილის გაცდენა;
10.2.2 გაკვეთილზე დაგვიანება;
10.2.3 სკოლის თანამშრომლის გარეშე სკოლის აღჭურვილების გამოყენება;
10.2.4 შესვენებაზე ყვირილი, ჩხუბი; 10.2.5 დირექტორის/სკოლის ადმინისტრაციის უფროსი/სწავლების მენეჯერის ნებართვის გარეშე შესვენებაზე შენობიდან გასვლა;
10.2.6 სკოლის შენობის და მასში განთავსებული ინვენტარის გაფუჭება დაზიანება, საკლასო ოთახებისა და კორიდორების დანაგვიანება.

10.2.7 სკოლაში სასკოლო ფორმის გარეშე შემოსვლა; სასკოლო ფორმის გარეშე მოსწავლე არ დაიშვება სკოლაში. 10.2.8 საგაკვეთილო პროცესში მობილური ტელეფონის და სხვა ტექნიკური საშუალებების არასასწავლო მიზნით გამოყენება;
10.2.9 გაკვეთილის დატოვება მასწავლებლის ნებართვის გარეშე.
10.2.10 სკოლის თანამშრომლის ან უფლებამოსილი პირის გარეშე სკოლის ლიფტით

3.სკოლაში აკრძალული ნივთებია:
10.3.1 თამბაქოს ნაწარმი;
10.3.2 ყველანაირი სახის იარაღი ან ისეთი ბასრი ნივთები, რომლებიც შეიძლება გამოყენებული იქნას იარაღად;
10.3.3 სანთებელა ან ასანთი;
10.3.4 ალკოჰოლური საშუალებები;
10.3.5 აზარტული თამაშის საშუალებები;
10.3.6 ძვირადღირებული ნივთები ან დიდი ოდენობით ფული;
10.3.7 ნარკოტიკული საშუალებები;
10.3.8 ასაფეთქებელი და მომწამვლელი ნივთიერებები;
10.3.9 ფსიქოტროპული ნივთიერებები, ექიმის შესაბამისი ნებართვის გარეშე.

11. მოსწავლის წახალისების ზომები
1. სანიმუშო ყოფაქცევის,სწავლაში მიღებული მაღალი შედეგებისა და სხვადასხვა საქმიანობაში მოპოვებული წარმატებისათვის მოსწავლე ჯილდოვდება:
11.1.1 სტიპენდიით გარკვეული ვადით,რომელიც ფორდება დირექტორის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტით;
11.1.2 სიგელით;
11.2.3 დიპლომით;
11.1.4 ფულადი პრემიით;
11.1.5.სხვა ჯილდოებით.

12. მოსწავლის პასუხისმგებლობა
1.მოსწავლეს დისციპლინური დარღვევებისათვის შეიძლება დაეკისროს დისციპლინური სახდელი ან სახდელის განსაკუთრებული ფორმა-სკოლიდან დათხოვნა.

2.მოსწავლის დისციპლინური სახდელებია:

12.2.1გაფრთხილება;

12.2.2წერილობითი საყვედური;
12.2.3.სასტიკი საყვედური
12.2.4ფულადი ჯარიმა;
12.2.5 დროებით სასწავლო პროცესიდან გამოთიშვა;
12.2.6სკოლიდან დროებით დათხოვნა.
3.მოსწავლეს გაფრთხილება შეიძლება გამოეცხადოს:
12.3.1გაკვეთილზე ან დასვენებაზე დისციპლინის მუსბუქი დარღვევისათვის;
12.3.2 ამხანაგის სიტყვიერი შეურაცხყოფისათვის;
12.3.3გაკვეთილზე ორჯერ დაგვიანებისათვის ან გაკვეთილის(არასაპატიო მიზეზით) გაცდენისათვის;
12.3.4საგაკვეთილო პროცესისადმი ზერელე დამოკიდებულებისათვის;
12.3.5სასკოლო ქონების მსუბუქი დაზიანებისათვის.
4.საყვედური შეიძლება გამოეცხადოს:
12.4.1 გაფრთხილების განემორებით მიღებისას;
12.4.2 გაკვეთილზე ან დასვენებაზე დისციპლინის უხეში დარღვევისთვის;
12.4.3 ამხანაგის სიტყვიერი შეურაცხყოფისთვის;
12.4.4 მასწავლებლის სიტყვიერი შეურაცხყოფისთვის;
12.4.5 ხუთი ან მეტი დაგვიანებისათვის;
12.4.6გაკვეთილის სამი და მეტჯერ არასაპატიო მიზეზით გაცდენისათვის.
12.4.7 სკოლიდან გაპარვის და გაკვეთილზე არ შესვლისთვის.
5.სასტიკი საყვედური შეიძლება გამოეცხადოს:
12.5.1გაფრთხილებისა და საყვედურის,ან ორი საყვედურის მიღებისას;
12.5.2.ათზე მეტი გაკვეთილის არასაპატიო მიზეზით გაცდენისათვის;
12.5.3.ამხანაგის მსუბუქი ფიზიკური შეურაცხყოფისათვის;
12.5.4.სწავლისადმი სისტემატიური ზერელე დამოკიდებულებისათვის.
შენიშვნა:დისციპლინური სახდელის გამოცხადების შესახებ კეთდება სათანადო ჩანაწერი მოსწავლის პირად საქმეში. 6 თვის შემდეგ მოსწავლის ან მშობლის პირადი განცხადების საფუძველზე დისციპლინური სახდელის დამკისრებლის გადაწყვეტილებით შეიძლება მოეხსნას სახდელი პირად საქმეში სათანადო ჩანაწერის გაკეთებით.

6.მოსწავლის მიმართ შესაძლოა ასევე გამოყენებულ იქნას ისეთი დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომები, როგორიცაა:

12.6.1 სკოლიდან დროებით დათხოვნა ;
12.6.2სახდელის განსაკუთრებული ფორმა-მოსწავლის სკოლიდან დათხოვნა დასაშვებია:
12.6.2.1 თუ სისტემატიურად უხეშად არღვევს დისციპლინას;
12.6.2.2 მასწავლებელს მიაყენებს ფიზიკურ შეურაცხყოფას ან დაემუქრება მას რაიმე ფორმით;

12.6.2.3 სხვა მოსწავლეებს მიაყენებს უხეშ ფიზიკურ შეურაცხყოფას;
12.6.2.4 სკოლაში გამოცხადდება ნასვამ მდგომარეობაში ან ნარკოტიკების ზემოქმედების ქვეშ;
12.6.2.5 სკოლას მიაყენებს მნიშვნელოვან მატერიალურ ზარალს, თუ მის მიმართ ძალაში შევა სისხლის სამართლის გამამტყუნებელი განაჩენი.

7. სკოლაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით დასაშვებია უკონტაქტო ზედაპირული დათვალიერება, რომლის მიზანია სკოლის უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლის მიერ საქართველოს კანონმდებლობით აკრძალული ნივთის, სავარაუდო დისციპლინური გადაცდომის/სამართალდარღვევის ჩადენის იარაღის აღმოჩენა, იმ საგნის აღმოჩენა, რომელსაც სავარაუდო დისციპლინური გადაცდომის/სამართალდარღვევის ჩადენის კვალი ატყვია, სავარაუდო დისციპლინური გადაცდომით/სამართალდარღვევით მოპოვებული ნივთის და ფასეულობის, აგრეთვე იმ საგნის და დოკუმენტის აღმოჩენა, რომლებიც საჭიროა სავარაუდო დისციპლინური გადაცდომის/სამართალდარღვევის ჩადენის გარემოებათა გასარკვევად.

8. უკონტაქტო ზედაპირული დათვალიერება დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც გარემოებები მიუთითებს მოსწავლის მიერ სკოლის დებულების შესაძლო დარღვევაზე ან/და შესაძლო სამართალდარღვევაზე და არსებობს საკმარისი საფუძველი ვარაუდისათვის, რომ უკონტაქტო ზედაპირული დათვალიერების შედეგად გამოვლინდება სკოლის დებულებით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომა ან/და შესაძლო სამართალდარღვევა.
9. უკონტაქტო ზედაპირული დათვალიერების უფლებამოსილება აქვს სკოლის დირექტორის მიერ განსზღვრულ იმავე სქესის უფელბამოსილ პირს.
10. უკონტაქტო ზედაპირულ დათვალიერებას წინ უნდა უსწრებდეს უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლის მიერ მოსწავლის გაფრთხილება უკონტაქტო ზედაპირული დათვალიერების შესახებ. თუ მოსწავლე წარმოადგენს ან სკოლის დირექტორის მიერ საამისოდ უფლებამოსილი პირი აღმოაჩენს, სავარაუდო კანონსაწინააღმდეგო ნივთს/საგანს რომლის მოსწავლის მიერ ფლობაზე რეაგირებაც საქართველოს კანონმდებლობით სამართალდამცავი ორგანოს კომპეტენციაა,ამის შესახებ დაუყოვნებლივ ეცნობება სამართალდამცავ ორგანოს. აღმოჩენილ ნივთს/საგანს სკოლის დირექტორის მიერ განსაზღვრული საამისოდ უფლებამოსილი პირი გადასცემს მოსწავლის მშობელს ან სამართალდამცავ ორგანოს, ნივთის/საგნის ხასიათის გათვალისწინებით.
11.მოსწავლის უკონტაქტო ზედაპირული დათვალიერება ხორციელდება მეტალოდეტექტორის გამოყენებით, ფიზიკური შეხების გარეშე, ასევე მოსწავლის ნივთის უკონტაქტო ზედაპირული დათვალიერება ხორციელდება მეტალოდეტექტორის გამოყენებით.
12. უკონტაქტო ზედაპირულ დათვალიერებაზე პასუხისმგებელი პირი ვალდებულია დაუყონებლივ შეატყობინოს მოსწავლის კანონიერ წარმომადგენელს მოსწავლის მიმართ უკონტაქტო ზედაპირული დათვალიერების შესახებ.
13.უკონტაქტო ზედაპირული დათვალიერების ჩატარება დაუშვებელია ჯგუფურად.
14.დისციპლინური გადაცდომის საქმეებს იხილავს დისციპლინურ საკითხთა კომისია. კომისიის მუდმივი წევრები არიან: ადამიანური რესურსების, საქმისწარმოების და იურიდიული სამსახურის უფროსი, ადმინისტრაციის უფროსის მოადგილე სწავლების ადმინისტრირების მიმართულებით, შესაბამისი საფეხურის სწავლების მენეჯერი, მოსწავლეთა თვითმმართველობის თავმჯდომარე, უსაფრთხო სკოლის მენეჯერი.
15.მოსწავლის მიმართ დისციპლინური სახდელის გამოყენების, აგრეთვე დისციპლინური დევნის დაწყების შესახებ დაუყონებლივ უნდა ეცნობოს მის მშობელს. მოსწავლეს უფლება აქვს მასთან დაკავშირებული საკითხის გადაწყვეტისას მშობელთან ერთად წარდგეს.
16.კანომდებლობით გათვალისწინებული უფლებების დარღვევის შემთხვევაში მოსწავლეს,მასწავლებელს და მშობელს უფლება აქვთ წერილობითი საჩივრით მიმართონ

სკოლის დირექტორს. დირექტორი საჩივარს განიხილავს შეტანიდან 10 სამუშაო დღის ვადაში.დირექტორის გადაწყვეტილების გადასინჯვის მოთხოვნით შესაძლებელია მიმართონ დამფუძნებელთა კრებას, რომელიც ვალდებულია განიხილოს საჩივარი ორი კვირის ვადაში.

17. საჩივარი არ განიხილება თუკი მასში არ არის მითითებული შემდეგი ინფორმაცია:

12.17.1 განმცხადებლის ვინაობა;

12.17.2უფლების დარღვევის არსი;

12.17.3 მოთხოვნის არსი.

13. სასწავლო დებულებაში ცვლილებების შეტანის წესი

სასწავლო დებულების ან მისი ცალკეული მუხლების ცვლილება ხორციელდება დასაბუთებული აუცილებლობის ან არსებულ კანონმდებლობასთან შეუსაბამობის გამოვლენის შემთხვევაში პარტნიორთა კრების გადაწყვეტილებით.